რესპუბლიკური “გენიოსის”

კონსტიტუცია

მიღებულია 2022 წლის 4 ნოემბერს

პრეამბულა

ჩვენ, შპს „დეა“ სკოლის მოსწავლბმა, ერთობლივად გადავწყვიტეთ და დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით შევქმენით სასკოლო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი .

სასკოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი:

პრეზიდენტის მოადგილე:

პრეზიდენტის თანაშემწე:

კონსტიტუცის ძირითდი ნორმები

კონსტიტუცია არის სასკოლო ცხოვრების ძირითადი კანონი,კონსტიტუცია ეფუძნება ბავშვთა უფლებების საერთშორისო კონვენციას,საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და ადამიანთა უფლებების საყოვლთაო დეკლარაციას.

რესპუბლიკა „გენიოსი“-ს კონსტიტუცია ეფუძნება სასკოლო ცხოვრების ყველა მონაწილის თავისუფლების,უფლებების,კანონიერი ინტერესების დაცვას.

კონსტიტუციის მოქმედება ვრცელდება შპს „დეა“ სკოლის ყველა მოსწავლეზე .

კონსტიტუციაში გამოყენებული ძირითადი ცნობები

უფლებები

საკუთრი შესაძლებლობების რეალიზება, თავისუფლების და კანონიერი ინტერესების დაცვა თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მიღებულ ნორმებს,კანონს და სხვების ინტერესებს.

მოვალეობები

საზოგადოდ მიღებული ნორმები და წესები, რომელთა შესრულება საზოგადოების ყველა წევრს ევალება.

კონსტიტუციის მიზანი

პიროვნების თავისუფლების და დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობილი უფლებების განხორციელება სასკოლო ცხოვრებაში.

სასკოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი

სასკოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სასკოლო რესპუბლიკის მეთაური.სასკოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სასკოლო კონსტიტუციის გარანტი.სასკოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი ირჩევა ერთი წლის ვადით საყოველთაო არჩევნების საფუძველზე.

სასკოლო რესპუბლიკის მთავრობა

სასკოლო რესპუბლიკის მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. სასკოლო რესპუბლიკის მთავრობას ნიშნავს

1. რესპუბლიკის წარმომადგენლობითი საბჭო
2. მოსწავლეთა კონფერენცია.

რესპუბლიკის მთავრობა შედგება სამინისტროებისგან:

ა)განათლების სამინისტრო

ბ)ჯანდვაცის სამინისტრო

გ)კულტურის სამინისტრო

დ)სპორტს სამინისტრო

ე)ბეჭვდის და საინფორმაციო კომუნიკაციების სამინისტრო.

სასკოლო რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მოსწავლეთა სასკოლო კონფერენციაზე დააყენოს მთავრობის გადადგომის საკითხი.

საკორდინაციო საბჭო

1. საკორდინაციო საბჭო შედგება ყველა კლასის თითო წარმომადგენლისაგან.
2. საკორდინაციო საბჭო ირჩევა ერთი სასწავლო წლის ვადით.
3. საკორდინაციო საბჭო ეუფლება მოსწავლეთა კონფერენციის წინაშე დააყენოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომის საკითხი,თუ იგი არაჯეროვნად ასრულებს საკუთრ მოვალეობებს,არღვებს კონსტიტუციის ნორმებს.

თავი პირველი
ზოგადი დებულება:

მუხლი 1

შპს ''დეა'' სკოლა წარმოადგენს სასკლო რესპუბლკას.

მუხლი 2

რესპუბლკაში დაშებულა ყველა ქმედება, რომელიც არ უქმნის საფრთხეს ადაიანის ჯანმრთელბას და სიცოცხლეს, არ არის აკრძალული საქართველოს რესპუბლკს კანონდებლბით, არ ლახავს ადამიანის თავისუფლებასა და უფლებებს.

მუხლი 3

კონსტიტუცია განსაზღვრავს სკოლის მოქალაქეთა ძირითად უფლებებს, მათი განხორციელების პირობებს და მმართველობის ძირითი ორგანოების სტუქტურას.

მუხლი 4

კონსტიტუიის მიზანია მოსწავლის დემოკრატიული უფლებების პრიციპების განხორციელბა.

თავი მეორე
საკონსტიტუციო მოწყობა:

მუხლი 5

სასკოლო კონსტიტუცია მოქმედებს სასკოლო რეპუბლკის ტერიტორიის ფარგლებში, სკოლის ტერიტორიაზე, სპორტულ მოედანზე და სკოლის ეზოში.

მუხლი 6

სკოლის რესპუბლიკის მოქალაქეებად ითვლებიან სკოლის მოწვლეები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი.

მუხლი 7

რესპუბლიკის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული პიროვნება, განსაკუთრებულ შემთხვვაში მოქალაქეები იქცევიან საქართვლოს კანონმდებლობის მიხედვით (მიმართავენ კანონდამცავ ორგანოებს).

მუხლი 8

შპს ''დეა'' სკოლის წესდება და შინაგანაწესი არის კონსტიტუციის განუყრელი ნაწილი და მათი შესრულება სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა მოქალაქისთვის.

მუხლი 9

სასკოლო რესპუბლიკის მოქალაქეთა ძირითადი უფლებები.

მუხლი 10

სასკოლო რესპუბლიკის ყველა მოქალაქე სარგებლობს თანაბარი უფლებებით რასის, სქესის, ეროვნების და აღმსარებლობის მიუედავად.

მუხლი 11

სასკლო რესპუბლიკის თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს დაიცვას საკუთარი უფლებები, გამოხატოს საკუთარი აზრი სხვათა ღირსების და თავისუფლების შელახვის გარეშე.

მუხლი 12

თოთოეულ მოქალაქეს აქვს უფლება სიტყვის თავისუფლებაზე მიიღოს მონაწილეობა სასკოლო ღონისძიებებში საკუთარი უფლების და კომპენტენციის ფარგლებში.

მუხლი 13

თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება გამოიჩინოს ინიციატივა და შესთავაზოს მმართველ ორგანოს რაიმე ღონისძიების ჩატარება.

მუხლი 14

თოთოეულ მოქალაქეს აქვს უფლება დააყენოს მოსწავლეთა კონფერენციის დროს, რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე, საკითხი რომელიმე მოსწავლის გაძევების შესახებ.

მუხლი 15

რესპუბლიკის თითოეულ მოქალაქეს აქვს პირადი შეუხებლობის უფლება, აკრძალულია ფიზიკური დასჯა, ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება, სხვისი ღირსების შელახვა.

მუხლი 16

თითოეულ მოქალაქეს აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების უფლბა

თავი მესამე
უფლებები

3.1. მოსწავლეთა უფლებები

მუხლი 17

თითოეულ მოსწავლეს აქვს სრულყოფილი განათლების მიღების უფლება.

მუხლი 18

თითოეულ მოსწავლეს აქვს უფლება არ გამოცხადდეს სკოლაში თუ წინასწარ არის მშობლის წერილობითი შეტყობინება ან/და ცნობა ავადმყოფობის შესახებ.

მუხლი 19

თითოეულ მოსწავეს აქვს უფლება წარმოადგიოს კანიდატები ან არსებული იქნას მოსწავლეთა თვითმართველობის ნებისმიერ ორგანოში

3.2. მასწავლებლის უფლებები

მუხლი 20

მასწავლებელს უფლება აქვს სწავლების დროს გამოიყენოს სწავლების ნებისმიერი ხერხი და მეთოდები თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სასკოლო რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სკოლის სხვა საკანონმდებლო/ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 21

მასწავლებელს უფლება აქვს მიიღოს მოსწავლეების ჩათვლები თავისუფალ დროს, აქვს უფლება არ აუხსნას მოსწავლეს ახალი მასალა თუ მოსწავლემ გაკვეთილი არასაპატიო მიზნით გააცდინა;

მუხლი 22

მასწავლებელს უფლება აქვს მოსთხოვოს მოსწავლეს საპატიო მიზნით გაცდენის დამადასტურებელი დოკუმნტი

მუხლი 23

მასწავლებელს უფლება აქვს მოსთხოვოს მოსწავლეს ყველა დავალების შესრულება მოსწავლის დადგენილი კომპეტენციების და შესაძლებლობების ფარგლებში.

თავი მეოთხე
სასკოლო რესპუბლიკის მოქალაქების ზოგადი მოვალეობები

მუხლი 24

თითეული მოქალქე ვალდებულია დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, სისუფთავე რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 25

თითოეული მოსწავლე ვალდებულია დაიცვას სასკოლო რესპუბლიკის ძირითადი კანონი, კონსტიტუცია.

მუხლი 26

თითოეული მოქალაქე ვალდებულია პატივი სცეს რესპუბლიკის ყველა მოქლაქეს, დიცვას მეტყველების კულტურა.

მუხლი 27

თითოეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას რესპუბლიკის ღირსება მის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 28

თითოეული მოქალქე ვალდებულია დაიცვას რესპუბლიკის საკუთრება, გაუფრთხილდეს მწვანე ნერგებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მუხლი 29

თითოეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას ჩაცმის კულტურა.

მუხლი 30

რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალულია მოწევა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ბილწსიტყვაობა.

მუხლი 31

რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალულია ფეთქებადი და მჭრელი ნივთიერებების შემოტანა/გამოყენება.

4.1. მოსწავლის მოვალეობები

მუხლი 32

ყველა მოსწავლე ვალდებულია აითვისოს სასწავლო საგნები მისთვის დადგენილი შესაძლებლობების ფარგლებში

მუხლი 33

თითოეული მოსწავლე ვალდებულია დასწროს გაკვეთილებს გარდა იმ შემთხვევაში როდესაც დასწრება აკრძალულია სამედიცინო ჩვენების მიხედვით

მუხლი 34

ყველა მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებები, თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში.

მუხლი 35

ყველა მოსწავლე ვალებულია შეისწავლოს საპროგრამო მასალა დამოუკიდებლად თუ არ ესწრება გაკვეთილს არასაპატიო მიზეზით.

მუხლი 36

გაცდენის შემთხვევაში ვალდებულია წარადგინოს გაცდენის მიზეზის შესახებ დოკუმენტი.

4.2. მასწავლებლის მოვალეობები

მუხლი 37

მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასრულების დროს ზარის დარეკვისთანავე გაუშვას მოსწავლეები, რადგან დავენება არის მოსწავლეთა პირადი დრო.

მუხლი 38

მასწავლებელი ვალდებულია დამატებით აუხსნას მოსწავლეს მასალა თუ მოსწავლე არ აცდენდა გაკეთილებს და ვერ გაიგო ახსნილი მასალა ან/და სურვილი აქვს გაღრმავებულად შეისწავლოს საგანი.

მუხლი 39

მასწავლებელი ვალდებულილა ნიშნით შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და არა მისი ყოფაქცევა.

მუხლი 40

მასწვლებელი ვალდებულია შეუქმნას მოსწავლეს სწავლისთვის ყველა პირობა.

მუხლი 41

მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილები ჩაატაროს მაღალ პროფესონალურ დონეზე.

თავი მეხუთე
თვითმართველობის ორგანოები

5.1. სასკოლო რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 42

სასკოლო რესპუბლიკის მთავრობა არის სასკოლო რესპუბლიკის ორგანო.

მუხლი 43

სასკოლო რესპუბლიკის მთავრობა ექვემდებარება მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტს.

მუხლი 44

სასკოლო რესუბლიკის მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან.

მუხლი 45

სასკოლო რესპუბლიკის მთავრობის სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ ორჯერ თვეში.

მუხლი 46

სასკოლო რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე კენჭისყრის პროცეს განახორცილებს პრეზიდენტი.

მუხლი 47

სასკოლო რესპუბლიკის მთავრობა განუხრელად იცავს კოსტიტუციას.

მუხლი 48

სასკოლო რესპუბლისკის პრეზზიდენტს არ აქვს უფლება გააბათილოს კანონი თუ არ შეთანხმდა ეს გადაწყვეტილება რესპუბლიკის მთავრობასთან.

5.2. სასკოლო რესპუბლიკის მინისტრთა კანონები

მუხლი 49

სასკოლო რესპუბლიკის აღმსრულებელ ხელისუფლებას წარმოაგენს მნისტრთა კაბინეტი

მუხლი 50

თავის მოღვაწეობაში მინისტრთა კაბინეტი ემორჩილება რესპუბლიკის პრეიდენტს.

მუხლი 51

მინისტრთა კაბინეტი შედგება ხუთი მინისტრისგან, რომლებსაც ყავთ მოადგილე და თანაშემწე. მინისტრები ირჩევა კონფერენციაზე, მათ ამტკიცებს რესპუბლიკის პრეზიდენტი ერთი წლის ვადით

მუხლი 52

მინისტრთა კაბინეტის გადადგომის შემთხვევაში ახალ მინისტრებს ნიშნავს პრეზიდენტი.

მუხლი 53

მინისტრთა კაბინეტი:

ა)გეგმავს სასკოლო რესპუბლიკის შიდა საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ბ)განახორციელებს რესპუბლიკის მოქალქეთა ინტერესების და უსაფრთოების დაცვის ზომებს;

გ)უზრუნველყოფს კონსტიტუციის დაცვას, პრეზიეტის განკარგულების შესრულებას.

მუხლი 54

მინისტრთა კაბინეტის ნებისმიერ წევრს ან/და მინისტრის თანაშემწეს შეუძლია შეატყობინოს რესპუბლიკის პრეზიდენტს თავისი გადადგომის შესახებ.

მუხლი 55

რესპუბლიკის პრეზიდნტს უფლება აქვს მთავრობს თანხმობით გადააყენოს მინისტრი ან მისი თმაშემწე რომელიც არღვევს კპნსტიტუციას ან ჯეროვნად არ ასრულებს თავის მოვალეობას

5.3. სასკოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 56

სასკოლო რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეული იქნას რესპუბლიკის ნებისმიერი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 14 წლის ასაკს.

მუხლი 57

სასკოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი ირჩევა რესპუბიკის ყველა მოქალაქის (V – XII კლასების) ფარული კენჭისყრით.

მუხლი 58

პრეზიენტი ითვლება არჩეულად თუ მან დააგროვა ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტი.

მუხლი 59

თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა საჭირო რაოდენობა ტარება მეორე ტური რომელშიც მონაწილეობას იღებს მხოლოდ ორი კანდიდტი რომელმაც მიიღო ხმების მაქსიმალური რაოდენობა.

მუხლი 60

მეორე ტურში იმარჯვებს ის კანდიდტი, რომელმაც მიიღო ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა

მუხლი 61

პრეზიდენტი ირჩევა ერთი წლის ვადით.

მუხლი 62

ვადის გასვლის შემდეგ პრეზიდენტს უფლება აქვს წარადგინოს თავისი კანდიდატურა მეორე ვადზე.

მუხლი 63

პრეზიდენტს უფლება აქვს გადადგეს პრეზიდენტის გადადგომას ამტკიცებს რესპუბლიკი მთავრობა

მუხლი 64

რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს გადააყენოს პრეზიდენტი, თუ იგი ჯეროვნად არ ასრულბს მოვალეობებს.

მუხლი 65

პრეიდენტი კორდინაცის უწევს მთავრობის მუშაობას.

მუხლი 66

პრეიდენტი გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა რესპუბლიკის ყველ მოქალაქისთვის.

მუხლი 67

პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რესპუბლიკის კონსტიტუციას.

5.4. სამინისტროები

მუხლი 68

რესპუბლიკის მთავრობა შედგება ხუთი მინისტრისგან.

მუხლი 69

რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად ინიშნება განათლების მინისტრი.

მუხლი 70

სასკოლო სამინისტროების შედგენილობაში შედის VIII – XI კლასის მოსწავლეები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება რესპუბლიკის მთავრობის პირველ სხდომაზე თითოეული სამინისტროსთვის ინდიიდუალურად.

მუხლი 71

სამინისტროს წევრობის კანდიდატების წარდგენა ხდება კლასელების მიერ.

მუხლი 72

სასკოლო რესპუბლიკის მინისტრებს ამტკიცებს მოსწავლეთა კონფერენცია.

მუხლი 73

სამინისტროს წევრებს ამტკიცებს რესპუბლიიკის მთავრობა.

მუხლი 74

სამინისტროს თანამშრომლის გათავისუფლება შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტს მინისტრის წარდგინებით.

მუხლი 75

რესპუბლიკის მთავრობა სხდომებს ატარებს თვეში ერთხელ.

მუხლი 76

რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს ყველა სდომაზე მიიწვიოს ნებისმიერი კლასის წარმომადგენელი თუ განსახილველი საკითხი ეხება შესაბამისი კლასის მოსწავლეებს.

მუხლი 77

რესპუბლიკის სამინისტროები გაწერილია თითოეული სამინისტროს დებულებაში.

მუხლი 78

სამინისტროების ძირითადი მოვალეობაა საკუთარი კემპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს რესპუბიკის ყველა მოქალაქის ფიზიკურ და სულიერ განვითარებას, რესპუბლიკის (სკოლის) წინსვლას და აღიარებას.

მუხლი 79

პრემიერ-მინისტრი კურირებს ყველა სამინისტროს მუშაობას სდომებს შორის.

თავი მეექვსე
საკორდინაციო საბჭო

მუხლი 80

საკორდინაციო საბჭო არის ორგანო, რომელიც ხელს უწყობს სასკოლო რესპუბლიკის ყველა ორგანოს ჰარმონიულ თანამშრომლობას.

მუხლი81

საკორდინაციო საბჭო შედგება სკოლის დირექტორის ან მისი მოადგილის, რესპუბლიკის პრეზიენტის, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომრის და პედსაბჭოს თავჯდომარისგან.

მუხლი82

საკორდინაციო საბჭოს სხდომები ტარდება კვირაში ერთხელ ყოველ ორშაბთს.

მუხლი 83

საკორდინაციო საბჭოს სხდომაზე უფლებამოსილია დაესწროს ნებისმიერი მინისტრი და საგნობრივი კათედრის თავმჯდომარე.

თავი მეშვიდე
სასკოლო რესპუბლიკის სიმბოლიკა

მუხლი 84

სასკოლო რესპუბლიკის დროშა არის საქართველოს რესპუბლიკის დროშა.

მუხლი 85

სასკოლო რესპუბლიკის ჰიმნი არის საქართვლოს ჰიმნი.

მუხლი 86

სასკოლო რესპუბლიკას აქვს უფლება შეიმუშაოს საკუთარი ლოგო.